<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის საბერძნეთის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ნავთლუღის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს საბერძნეთის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

01.17.12.023.018
01.17.12.023.018
1(2)
01.17.12.023.028
03 (1)
01.17.12.023.036
01.00.324
01.00.650
01.00.287
01.17.13.051.014
01.17.13.051.008
01.17.13.051.001
1(1)
01.00.593
01.17.13.051.013
01.17.13.050.003
01.17.13.050.204
01.01.834
486697.97813, 4614649.50881
1 : 0.3K
navTluR

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

საქართველო

30665-01-2-202111081319

№ 01/30665
08/11/2021

ფრიად სასწრაფო

თბილისის საკრებულო

თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 17 ნოემბერს, დაგეგმილია საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის მომზადების პროცესში, საბერძნეთში საქართველოს ელჩმა, 2021 წლის 4 ნოემბერს, შეხვედრა გამართა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა შემდეგ გარემოებებზე:

- ბერძნულმა მხარემ წუხილი გამოთქვა თბილისში მდებარე საბერძნეთის ქუჩისთვის სახელის ცვლილების გამო. ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მერიაში, საკითხის შესახებ დამატებითი დეტალების გარკვევის მიზნით, საქართველოში საბერძნეთის ელჩის მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო.
- უკმაყოფილება გამოითქვა თბილისის მერიის უარყოფითი პოზიციის გამო, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში დაიდგას ცნობილი დირიჟორის, ოდისეი დიმიტრიადისის ბიუსტი (საფლავთან ან მის სიახლოვეს. ბიუსტი დამზადებულია ბერძნული მხარის ხარჯით).
- ასევე, წუხილით აღინიშნა თბილისის მერიის უარყოფითი პოზიცია, ქალაქის რომელიმე სკვერში, საელჩოს ხარჯებით, მოეწყოს საბერძნეთის კუთხე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ბრძნული მხარე, საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, დიდი ალბათობით, დააყენებს ზემოხსენებულ საკითხებს, გთხოვთ, უმოკლეს დროში, გვაცნობოთ, თუ რამდენად საფუძვლიანია ბერძნული მხარის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, გაგვიზიაროთ შესაბამისი არგუმენტაცია, თუ რატომ ვერ მოხერხდა ბერძნული მხარის ინტერესების გათვალისწინება. ამასთან, გვაცნობოთ, საკითხების დადებითად შესაძლო გადაწყვეტის პერსპექტივის თაობაზე.

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

პატივისცემით,
ნინო ბარათაშვილი



დეპარტამენტის დირექტორი
ევროპის დეპარტამენტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032131327**
თარიღი: **09/11/2021**
პინი: **5641**

ადრესატი: საგარეო საქმეთა სამინისტრო
მისამართი: შ.ჩიტაძის ქ.4

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ევროპის დეპარტამენტის დირექტორს

ნინო ბარათაშვილს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი მ/წლის 08 ნოემბრის 04-032131212-03 წერილი, რომელიც საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის მომზადების პროცესში წარმოშობილ საკითხებს შეეხება.

გაცნობებთ, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში საბერძნეთის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი (საბერძნეთის ქუჩა) არასოდეს ყოფილა.

კრწანისის რაიონში, ორთაჭალაში არსებობდა ბერძნის ქუჩა. ვინაიდან ობიექტი აერთიანებდა ერთმანეთთან გეგმარებითი კავშირის არმქონე მონაკვეთებს და შეუძლებელი იყო ქუჩის თანამედროვე ნუმერაცია საკრებულოს მიერ 2017 წელს განხორციელდა სახელწოდების ცვლილება და ქუჩა ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ობიექტად. გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ თბილისში არსებული ქუჩები, რომლებიც დაკავშირებულია მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებთან, ასევე მოძმე ერებთან სახელდებულია არა კონკრეტული ეთნოსის სახელწოდებით, არამედ კონკრეტული ქვეყნის ან ქალაქის სახელით.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მრავალეროვანი და ეთნო-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით თბილისურ ტოპონიმიკაში კვლავ შემორჩენილია ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა: ფრანგების უბანი, ბოშების უბანი, ალექსანდერდორფი, ბერძენთა დასახლება...

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის ცნობილია, საქართველოში საბერძნეთის ოფიციალური წარმომადგენლობისა და ბერძნული დიასპორის სურვილი, თბილისში საბერძნეთთან დაკავშირებული გეოგრაფიული ობიექტის არსებობასთან დაკავშირებით.

კომისია გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საბერძნეთის საელჩოს და ბერძნული დიასპორის ჩართულობით შეარჩიოს კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტი (ქუჩა, სკვერი,მოედანი) და სახელწოდება. სახელდების განხორციელების შემგომ კი მზად ვართ უზრუნველვყოთ ობიექტის გახსნისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

დამატებით გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში ოდისეი დიმიტრიადის ოჯახის წევრების მ/წლის სექტემბრის თვეში შემოტანილი მომართვის საფუძველზე მიმდინარეობს ქუჩის შერჩევის პროცედურები დირიჟორის სახელის მინიჭების მიზნით.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **03-032226362**
თარიღი: **20/09/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ინიციატივას ისნის რაიონში, ნავთლუღის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის საბერძნეთის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ საბერძნეთის სკვერის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 1 (ერთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი